

ეკონომიკური დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მიმართულებები  
**THE DIRECTIONS OF ECONOMIC INTELLIGENCE AND COUNTER-  
INTELLIGENCE**

ილია ხუციშვილი სსიპ-შსს აკადემია - სამართლის მაგისტრი „ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტი -  
სამართლის დოქტორანტი

Ilia Khutsishvili LEPL - Academy Of The Ministry Of Internal Affairs Of Georgia- Master's Academic Degree of  
Law New Vision University - The Ph.D Programme in Law, Doctoral Student

**ანოტაცია:** სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორს ეკონომიკა წარმოადგენს, სწორედ ამიტომ, სახელმწიფოთა სამსახურები სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ცდილობენ პოტენციურად მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა ეკონომიკის დასუსტებას ან ისედაც ცუდი ეკონომიკის მქონე ქვეყანაზე ახარხებენ მაქსიმალური კონტროლის დაწესებას.

ეკონომიკური დაზვერვა, როგორც სადაზვერვო საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება გულისხმობს ეკონომიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულ და სრულყოფილ მოპოვებას, მის ანალიზსა და სათანადო რეალიზაციას.

ეკონომიკურ სფეროში ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორებიდან, საწარმოო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან. ეკონომიკურ საკითხებზე ინფორმაცია შეძლება იყოს როგორც ღია ასევე დახურული წყაროებიდან მოპოვებული. სწორედ ამიტომ სახელმწიფოს მნიშვნელოვან საზრუნავს საჯარო და კერძო სექტორის კონტრსადაზვერვო, ხოლო საერთაშორისო არენაზე პოტენციურად მოწინააღმდეგე სახელმწიფოებში იმავე სეგმენტის სადაზვერვო უზრუნველყოფა წარმოადგენს. შესაბამისად მნიშვნელოვანია ნაშრომის ფარგლებში განხილულ იქნას ეკონომიკური დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ის ძირითადი მიმართულებები, რომლებსაც სახელმწიფოთა სპეცსამსახურები ახორციელებენ საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ გეოსტრატეგიული ინტერესების გასამყარებლად.

**საკვანძო სიტყვები:** *ეროვნული უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, სპეცსამსახურები, სადაზვერვო საქმიანობა*

**ABSTRACT:**The economy is one of the key sectors ensuring state security and thus, the state services, by applying various methods, strive to decline the potentially rival economies or undertake the maximal control on already weak economies.

Economic intelligence, as one of the directions of the intelligence activity, implies the timely obtainment of the comprehensive economy-related information, its analysis, and due realization.

Obtainment of information in the economic sector can be achieved from private so from the public sectors, from the enterprises and organizations. Information on economic issues may be obtained from the open so from the closed sources. Hence, the counter-intelligence of the public and private sectors is the key task for the state, similar to the intelligence provision in the same segment in the potentially rival states at the international theatre.

Correspondingly, it is paramount to discuss the key directions of the economic intelligence and counter-intelligence within the scope of the Article, undertaken by the special services of the countries to reinforce their own political, economic and geo-strategic interests.

**KEYWORDS:** *National Security, Economic Security, Special Services, Intelligence Activity.*

ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში შემავალი ერთ-ერთი ძირითადი სეგმენტის, ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცება, ე.ი მისი სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფა საჭიროებს არა მარტო ინფორმაციულ მხარდაჭერას, არამედ ამ ინფორმაციის ანალიზს და წარმატებულ რეალიზაციას. ინფორმაციული მხარდაჭერა უნდა ხასიათდებოდეს დროულობითა და სრულყოფილებით. პრაქტიკულად ანალოგიურად ხორციელდება კორპორაციული შპიონაჟიც სადაზვერვო საქმიანობასთან კომბინირებულად.

ეკონომიკური დაზვერვის მიმართულებით ოპერატიული საქმიანობის ეტაპები პირობითად ორ ნაწილად იყოფა:<sup>1</sup> ინფორმაციის მოპოვება, შეფასება და ანალიზი, ეს არის ინფორმაციის დამუშავების პროცესი, რომლის დროსაც ხდება ღონისძიების დაგეგმვა, ხოლო მეორე ნაწილი კი გულისხმობს უკვე დაგეგმილი ღონისძიების რეალიზაციას. მთელი პროცესის აუცილებელი პირობაა კი ის, რომ მოხდეს მისი მართვა და კოორდინაცია, რომელიც უწყვეტ პროცესად უნდა მიმდინარეობდეს. ზემოაღნიშნული ეტაპების დასრულების შემდგომ იწყება დამაზიანებელი სადაზვერვო-ოპერაციული ქმედებები.

ზოგადად, როგორც ოპერატიული საქმიანობისას, ისე ეკონომიკური დაზვერვის მიმართულებით სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება როგორც ღია ისე დახურული წყაროებიდან. ამ მიზნით, განსაკუთრებული შესწავლის ობიექტებს სახელმწიფო და კერძო სექტორში შემავალი ორგანიზაცია-დაწესებულებები წარმოადგენენ.<sup>2</sup> სწორედ ამიტომ სახელმწიფოს მნიშვნელოვან საზრუნავს საჯარო და კერძო სექტორის კონტრსადაზვერვო, ხოლო საერთაშორისო არენაზე პოტენციურად მოწინააღმდეგე სახელმწიფოებში იმავე სეგმენტის სადაზვერვო უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ეკონომიკური დაზვერვის მიზნებსა და ამოცანებსა განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, გეოსტრატეგიული და სხვა უამრავი ფაქტორი, რომელთა შორის აღსანიშნავია სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესები პოტენციურად მოწინააღმდეგე ქვეყანაში.

უცხო სახელმწიფოს სპეცსამსახურების ეკონომიკური დაზვერვის ოპერატიული შესწავლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას პოტენციურად მოწინააღმდეგე სახელმწიფოს/სახელმწიფოების ეკონომიკის დასუსტება და მასზე ზეგავლენის გაადვილება წარმოადგენს. ამ მიმართებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყველა ხარისხის საიდუმლოების რეჟიმის მოშლას, რომლის დამაზიანებელი ზემოქმედებაც კონტრსადაზვერვო სამსახურების მიერ უნდა იქნეს აცილებული.

ეკონომიკური დაზვერვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე საკუთარი ქვეყნის კომპანიების წარმატებით შეღწევა-დამკვიდრება წარმოადგენს.<sup>3</sup> სწორედ ამიტომ სახელმწიფოთა შორის ინვესტიციების განხორციელებამდე და ეკონომიკური ხელშეკრულებების გაფორმებამდე ოპერატიულ-აგენტურული და სამეცნიერო შესწავლის პროცესების უზრუნველყოფა აუცილებელია, როგორც სადაზვერვო, ისე კონტრსადაზვერვო საქმიანობის ფარგლებში, რათა თავიდან იქნას აცილებული ეროვნული

<sup>1</sup> Strategic Dossier 162 B Economic intelligence in a global world, 2014. Spanish Institute for Strategic Studies, Ministry Of Defence, official web, 22, Accessed on 4 April 2020. [https://publicaciones.defensa.gob.es/media/downloadable/files/links/c/e/ce\\_162\\_b.pdf](https://publicaciones.defensa.gob.es/media/downloadable/files/links/c/e/ce_162_b.pdf)

<sup>2</sup> საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2016-31.12.2016, 8, წვდომის თარიღი: 4 აპრილი 2020. <https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/angarishi2016.pdf>

<sup>3</sup> იქვე, გვ. 9.

უსაფრთხოებისათვის ისეთი დამაზიანებელი შედეგები, როგორცაა ეკონომიკური ექსპანსია.

წარმატებული ეკონომიკური საქმიანობის პირობების უზრუნველსაყოფად საკუთარი ქვეყნის კომპანიაში სადაზვერვო (მათ შორის კორპორაციული შპიონაჟით შენიღბული) შეღწევადობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფა. ამ კუთხით, უახლეს ისტორიაში არსებობს მაგალითები, როდესაც კერძო კომპანიებში<sup>4</sup> ხორციელდება დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ყოფილი თანამშრომლების განთავსება, რაც მათი მხრიდან საკუთარი სახელმწიფოს სასარგებლო სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის გაგრძელებას უნდა ნიშნავდეს.\*

ადამიანური რესურსის სახით ინფორმაციის მოპოვების მნიშვნელოვან ობიექტებად გვევლინებიან სახელმწიფო და კერძო სექტორში მომუშავე პირები. გამოდის, რომ ისინი სადაზვერვო აგენტურული შეღწევადობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენენ.<sup>5</sup>

ეკონომიკური დაზვერვის განსახორციელებლად მოწყვლად სფეროებს წარმოადგენს სოფლის მეურნეობისა და ფინანსური სექტორი, საბაჟო და შემოსავლების სამსახურები და სხვ. საკუთარი პოზიციების გასამყარებლად უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები მუდმივად ცდილობენ გადაიბირონ ან/და ჩანერგონ კონკრეტული პირები რათა მოიპოვონ საიდუმლო ინფორმაცია ეკონომიკურ სფეროებში მიმდინარე პროცესების შესახებ.<sup>6</sup>

ეკონომიკური დაზვერვის მიმართულებით, წარმატებული და მასშტაბური აგენტურული შეღწევა, პოტენციურად მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ეკონომიკური შესაძლებლობებისა და რესურსების დროული და სწორი შეფასების ხელსაყრელი პირობაა. ამ მიმართულებით წარმატებული საქმიანობის შედეგად, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შესაძლებელია გაირკვეს თუ როგორ ანაწილებს პოტენციურად მოწინააღმდეგე სახელმწიფო საკუთარ რესურსებს, როგორ იმოქმედებს იგი სამხედრო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში და რა რესურსის გამოყენება შეეძლება მას საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად ეკონომიკურ დაზვერვას გააჩნია თავსებადობა სამხედრო, სტრატეგიულ და პოლიტიკურ დაზვერვასთან.

<sup>4</sup>About Strategic Forecasting Inc, Accessed on 7 April 2020. <https://www.stratfor.com/about>

\* ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე, კერძო კომპანია (ანალიტიკური სამსახური) „Strategic Forecasting Inc.“ სტრატეგიული პროგნოზირების კორპორაციაა. იგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან და სხვა ღია წყაროებიდან, საკუთარ ე.წ. აგენტურული აპარატის მეშვეობით მოიპოვებს და აანალიზებს ინფორმაციას მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური მოვლენების შესახებ. კორპორაციის მიერ განხორციელებული ანალიტიკა, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია, ის პრაქტიკულად ყოველთვის ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესების თანხვედრია. კომპანიის თანამშრომლები დაკოპლექტებულნი არიან სადაზვერვო და უსაფრთხოების სექტორის ყოფილი თანამშრომლებით. კომპანიის ანალიტიკოსებად მუშაობენ ყოფილი დიპლომატები (რომლებიც, როგორც სადაზვერვო ისტორია აჩვენებს სადაზვერვო საქმიანობის განმახორციელებელი სუბექტები არიან) და უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი თანამშრომლები.

<sup>5</sup> საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2017-31.12.2017, 9, წვდომის თარიღი: 4 აპრილი 2020. <https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/angarihi%202017.pdf>

<sup>6</sup> იქვე, გვ. 10.

ზემოაღნიშნული მიმართულებით საინტერესოა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ მზვერავ-დივერსანტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ქმედებები ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ობიექტების წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიის ხელისუფლების სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებში შედიოდა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაზე დამაზიანებელი ზემოქმედების ორგანიზება, რათა ამერიკის შეერთებულ შტატებს მხარი არ დაეჭირა საბჭოთა კავშირისათვის. გერმანიის სამხედრო-სადაზვერვო სამსახურის „აზვერი“-ს<sup>7</sup> მიერ დაიგეგმა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების (ნიუ-იორკის ხიდის “Hell Gate Bridge”, ნიაგარას ჩანჩქერზე აგებული ჰიდროელექტროსადგური, ფილადელფიის ალუმინის ქარხანა და სხვ.) დაზიანება.

**ჯორჯ ჯონ დაჩისა და ედუარდ ჯონ კერლინგის** ხელმძღვანელობით მისიის შესრულება, გერმანელ მზვერავ-დივერსანტთა (ერნესტ პიტერ ბარგერი, ჰენრი ჰერმ ჰეინცი, რიჩარდ ქურინი, ვერნერ ტიელი, ჰერბერტ ჰანს ჰაუბტი, ჰერმან ოტო ნეუბაუერი)<sup>8</sup> იმ ჯგუფს დაევა, რომელსაც შესაბამისი მომზადება ბერლინის საბოტაჟის სკოლაში ჰქონდა გავლილი. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო შესწავლის ობიექტსა და სამიზნეს წარმოადგენს სახელმწიფოს სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები.<sup>9</sup>

ეკონომიკური დაზვერვის კუთხით უახლეს ისტორიაში საყურადღებოა სადაზვერვო საქმიანობის ისეთი მიმართულება, როგორცაა **ელექტრონული დაზვერვა**, რომლის ოპერაციული ქმედებების ერთ-ერთ მიმართულებად **კიბერშეტევები** გვევლინება. ამ კუთხით დაზიანების მნიშვნელოვან სამიზნეს ფინანსური და საბანკო სექტორი, ენერგეტიკული სისტემა და ჰიდროელექტროსადგურები წარმოადგენენ.<sup>10</sup>

2013 წელს, ირანელი ჰაკერების მიერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკის ჰიდროელექტროსადგურზე განხორციელდა კიბერ შეტევა,<sup>11</sup> რა დროსაც ჰაკერებმა ჰიდროელექტროსადგურის დაცულ კომპიუტერულ სისტემაში შეაღწიეს, რითაც კიბერტერორისტებს საშუალება მიეცათ ეკონტროლებინათ ჰიდროელექტროსადგურის მუშაობა, ე.ი. შეექმნათ ხელსაყრელი პირობა დივერსიის განხორციელებისთვის. აღნიშნული ოპერაცია ემსახურებოდა ობიექტის დაცულობის სისტემის შემოწმებას, თუმცა მას ჰქონდა დამთრგუნველი ზემოქმედება იმ თვალსაზრისით, რომ ირანის სახელმწიფოს შეეძლო ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკულ სექტორზე დამაზიანებელი ზემოქმედება.

<sup>7</sup> The Central Intelligence Agency, 2001. Nazi War Crimes Disclosure Act, Accessed on 4 April 2020. [https://www.cia.gov/library/readingroom/docs/GERMAN%20INTELLIGENCE%20SERVICE%20%28WWII%29%2C%20%20VOL.%201\\_0003.pdf](https://www.cia.gov/library/readingroom/docs/GERMAN%20INTELLIGENCE%20SERVICE%20%28WWII%29%2C%20%20VOL.%201_0003.pdf)

<sup>8</sup> Federal Bureau of Investigation, “George John Dasch and the Nazi Saboteurs”, Accessed on 4 April 2020. <https://www.fbi.gov/history/famous-cases/nazi-saboteurs-and-george-dasch>

<sup>9</sup> საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2018-31.12.2018, 14-15, წვდომის თარიღი: 4 აპრილი 2020. <https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202018.pdf>

<sup>10</sup> იქვე, გვ.13.

<sup>11</sup> BBC News, 2015. „Iranian hackers 'targeted' New York dam”, Accessed on 4 April 2020. <http://www.bbc.com/news/technology-35151492>

უახლეს ისტორიაში ეკონომიკური დაზვერვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას კორპორაციული შპიონაჟი წარმოადგენს. კორპორაციული შპიონაჟი<sup>12</sup> ეს არის კომერციული საიდუმლოების მოპარვა, იმ მიზნით, რომ დაზარალებულ კომპანიის ან სახელმწიფოს სავაჭრო ინტერესები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ბაზარზე. აღნიშნული ქმედება გამოიხატება ისეთი საიდუმლო დოკუმენტის, ნახაზის, სქემის, ტექნოლოგიის მოპარვაში, გადაწერაში, ატვირთვა-ჩამოტვირთვაში ან განადგურებაში, რომლის გამჟღავნება ზიანის მომტანია როგორც კომპანიისათვის ისე სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კორპორაციული შპიონაჟის გამოყენება შესაძლებელია სადაზვერვო საქმიანობასთან კომბინირებულად, რაც ობიექტი სახელმწიფოსათვის დამაზიანებელ შედეგს კიდევ უფრო ზრდის.

კორპორაციული შპიონაჟის კუთხით საინტერესოა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩინელი პროფესორი ჰაო ზენგისა და მისი ხუთი ჩინელი სტუდენტის (ჩინეთის მოქალაქეები)<sup>13</sup> მიერ განხორციელებული კორპორაციული შპიონაჟის ფაქტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასარგებლოდ, რომელიც ათი წელი გრძელდებოდა და გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ 2015 წელს იქნა აღკვეთილი. აღნიშნული პირები მუშაობდნენ ამერიკულ კომპანიებში: „Avago Technologies“ და „Skyworks Solutions“, სადაც აწარმოებდნენ მობილური ტელეფონებისთვის რადიოსიხშირულ ფილტრებს. ამ პირებმა ტექნოლოგიები გაიტანეს ჩინეთში, დააარსეს საკუთარი კომპანია და ჩინეთის სამხედრო ორგანიზაციებისათვის დაიწყეს ანალოგიური ფილტრების წარმოება. ყოველივე კორპორაციული შპიონაჟის ფარგლებში ახალი ტექნოლოგიების მოპარვის ფაქტზე მიანიშნებს.

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას აგრარული სექტორის აგროტერორიზმისგან დაცვა წარმოადგენს, რომელსაც განმარტავენ როგორც დამაზიანებელ ზემოქმედებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია სოფლის მეურნეობის დარგის, მცენარეების, ცხოველების, სასურსათო უსაფრთხოების სისტემის რღვევისკენ და საშიში დაავადებების გავრცელებისკენ, რომელიც იწვევს ეკონომიკურ ზარალს, საფრთხის ქვეშ დგება მოსახლეობის სიცოცხლე და ჯანმრთელობა და სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირება.<sup>14</sup> აგროტერორიზმის მიზანია არა უბრალოდ სასოფლო-სამეურნეო კულტურების განადგურება, არამედ მოსახლეობაში პანიკის დათესვა, მათში დაუცველობის განცდის გაჩენა. ყოველივე სადაზვერვო-ოპერაციული ქმედებების შემადგენელ საფეხურებს წარმოადგენს, რაც კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას აგროტერორიზმის სადაზვერვო მიზნებით გამოყენების შესახებ.

<sup>12</sup> Office of The National Counterintelligence Executive, 2009-2011. „Foreign Spies Stealing US Economic Secrets in Cyberspace“, Report to Congress on Foreign Economic Collection and Industrial Espionage, Accessed on 10 April 2020. [https://www.ncsc.gov/publications/reports/fecie\\_all/Foreign\\_Economic\\_Collection\\_2011.pdf](https://www.ncsc.gov/publications/reports/fecie_all/Foreign_Economic_Collection_2011.pdf)

<sup>13</sup> Department of Justice Office of Public Affairs, 2015. „Chinese Professors Among Six Defendants Charged with Economic Espionage and Theft of Trade Secrets for Benefit of People’s Republic of China“, Accessed on 4 April 2020. <https://www.justice.gov/opa/pr/chinese-professors-among-six-defendants-charged-economic-espionage-and-theft-trade-secrets>

<sup>14</sup> Monke J., 2007. “Agroterrorism: Threats and Preparedness”, CRS Report for Congress, Accessed on 11 April 2020. <https://www.fas.org/sgp/crs/terror/RL32521.pdf>

გამოთქმული მოსაზრებას ადასტურებს ქვემოთმოყვანილი ისტორიული ფაქტები:<sup>15</sup>

- პირველი მსოფლიო ომის პერიოდში (1914-1918 წწ.) გერმანიის მიერ გამოყენებულ იქნა სპეციალური ვირუსი, მოკავშირეთა ცხენების დასახოცად, რათა მოწინააღმდეგის სწრაფი გადაადგილების პარალიზება მომხდარიყო;
- მეორე მსოფლიო ომის დროს (1939-1945წწ.), იაპონიის მიერ მოწინააღმდეგის შესაჩერებლად და მასზე უპირატესობის მოსაპოვებლად აქტიურად გამოიყენებოდა ვირუსები, რითაც ხოცავდნენ და ანადგურებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და ცხოველებს, რაც ასევე იწვევდა ჯარისკაცების დაავადებას;
- 1952 წელს კენიაში ტერორისტული ორგანიზაცია „მაუ-მაუს“ მიერ გამოყენებულ იქნა აფრიკული შხამიანი რძე (მცენარის), რითაც მოწამლეს და გაანადგურეს საქონლის ფერმა;
- ვიეტნამის ომის (1954-1975წწ.) დროს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოყენებულ იქნა შხამ-ქიმიკატები ვიეტნამში მოსავლიანი მიწებისა და მარცვლეული კულტურის გასანადგურებლად;
- 1970 წელს „კუ კლუს“ კლანის წევრების მიერ, ალაბამაში, მოწამლულ იქნა წყლის მარაგი, რომლითაც მარაგდებოდა შავკანიანი მუსლიმი მოსახლეობის სოფელი და ფერმა. ამის შედეგად დაიხოცა პირუტყვი და დაავადდა მოსახლეობა;
- 1980 წელს საბჭოთა ჯარების მიერ გამოყენებულ იქნა ვირუსი ავღანეთში ჯიჰადისტების ცხენების გასანადგურებლად, რომ მოწინააღმდეგის სწრაფი გადაადგილების საშუალება მოესპოთ;
- 1999 წელს ბელგიის, საფრანგეთისა და ნიდერლანდების ფერმაში, ფრინველების (ქათამი) საკვებში აღმოჩენილ იქნა კარცეროგენი-დიოქსინი, რასაც ბელგიიდან ქათმის, საქონლისა და ღორის ხორცის იმპორტის აკრძალვა მოჰყვა. რის შედეგადაც ბელგიის სახელმწიფოს მიაღდა 1 მილიარდი დოლარი ზარალი.<sup>16</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ აგროტერორიზმი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ აღიარებულ იქნა ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ მძიმე დანაშაულად.

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ აგროტერორიზმი, როგორც ტერორიზმის ერთ-ერთი მიმართულება, ეკონომიკური და კორპორაციული (ან კომბინირებულად ორივე ერთად) დაზვერვის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას განეკუთვნება, რომელიც დამაზიანებელ ზეგავლენას ახდენს სასურსათო უსაფრთხოებაზე, უარყოფითად ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე და ქმნის ეკონომიკური უსაფრთხოების რღვევის საშიშროებას.

ეკონომიკური დაზვერვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის დამყარება წარმოადგენს. ამ კუთხით საყურადღებოა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) ფარული სადაზვერვო ოპერაცია ირანში კოდური სახელწოდებით - „TP-Ajax“.<sup>17</sup> ოპერაცია მიზნად

<sup>15</sup> Pate J., and Cameron G., 2002. *Covert Biological Weapons Attacks against Agricultural Targets: Assessing the Impact against U.S. Agriculture*, 7-9.

<sup>16</sup> კუხალაშვილი დ., გურული-კუხალაშვილი მ., ბრეგაძე თ., 2014. *ტერორიზმის როლი სასურსათო და ტურიზმის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში*, თბილისი, 35-46.

<sup>17</sup> Saeed K. Dehghan and Richard N. Taylor, *The Gurdian*, 2013. “CIA admits role in 1953 Iranian coup“, Accessed on 8 April 2020. <http://www.theguardian.com/world/2013/aug/19/cia-admits-role-1953-iranian-coup>

ისახავდა ირანის პრემიერ-მინისტრის მუჰამედ მოსადეგის ხელისუფლებიდან ჩამოცილებას.<sup>18</sup>

საიდუმლო ოპერაციის დაგეგმვა-განხორციელების ძირითადი მიზეზი 1951 წელს მოსადეგის ინცირებით ირანის პარლამენტის (მეჯლისის) მიერ დიდი ბრიტანეთის კონტროლს დაქვემდებარებული ირანული ნავთობკომპანიის ნაციონალიზაცია გახდა. ეკონომიკური ზიანის თავიდან ასაცილებლად დიდმა ბრიტანეთმა ირანის ნავთობის მიმართ სადაზვერვო ბერკეტები აამოქმედა და ირანულ ნავთობზე ემზარგო დააწესა.<sup>19</sup>

ამასთანვე დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის მთავრობებმა, იმის შიშით, რომ ირანი საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში არ გადასულიყო გადაწყვიტეს ხელოვნურად შეეცვალათ მუჰამედ მოსადეგის ხელისუფლება. ამ მიზნითა დაიწყო ფარული სადაზვერვო ოპერაცია ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ.

ოპერაციის ხელმძღვანელი იყო კერმიტ რუზველტი (ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფიცერი, ფარული ოპერაციების ხელმძღვანელის თანაშემწე), რომელმაც მოკლე დროში შეძლო და მოისყიდა ირანის მეჯლისის (პარლამენტის) წევრები, გამომცემლები, რედაქტორები და ჟურნალისტები. დაიწყო ირანში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების 80%-ის ფინანსური უზრუნველყოფა.

#### **შესრულდა ფარული სადაზვერვო ოპერაციის ისეთი ეტაპები, როგორცაა:**

- შეიქმნა (მათ შორის სასულიერო პირების მხრიდან) საზოგადოებრივი აზრი მუჰამედ მოსადეგზე, როგორც კომუნისტზე;
- ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური დივერსიის (მათ შორის ფულის ინფლაციის ინსპირირებისათვის) მოსაწყობად ლონდონსა და ნიუ-იორკში დაიწყო ყალბი ირანული ბანკნოტების ბეჭდვა-გასაღება;
- სადაზვერვო შედწევადობით დაქირავებულმა პირებმა, თითქოსდა მოსადეგის მომხრეებმა დაიწყეს მეჩეთებსა აფეთქება, მეჩეთებში მუსლიმი მოსახლეობის დახვრეტა, მალაზიების დარბევა, კომუნისტური პარტიის ლოზუნგებით გამოსვლა, მასობრივი არეულობა;

ხელისუფლების მხრიდან სამხედრო შენაერთების გამოყენებას 800 ადამიანის დაღუპვა მოჰყვა. ყოველივე ეს მოსადეგის დააპატიმრებით, შესაბამისად მისი ხელისუფლებიდან ჩამოცილებით, სასურველი მმართველის ხელისუფლებაში მოყვანით, ირანის ნავთობზე დიდი ბრიტანეთის კონტროლის (ბრიტანეთის ნავთობის კომპანია-British Petroleum Company) აღდგენით დასრულდა.<sup>20</sup>

ამავე კუთხით საყურადღებოა 1954 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ ჩატარებული ფარული სადაზვერვო ოპერაცია

<sup>18</sup> Campaigning to Install Pro-western Government in Iran, CIA Archive Documents, Accessed on 4 April 2020. <https://nsarchive2.gwu.edu/NSAEBB/NSAEBB435/docs/Doc%202%20-%201954-00-00%20Summary%20of%20Wilber%20history.pdf>

<sup>19</sup> Torey L. McMurdo, 2012. „The Economics of Overthrow, The United States, Britain, and the Hidden Justification of Operation TPAJAX“, 15-16, Accessed on 4 April 2020. <https://www.cia.gov/library/center-for-the-study-of-intelligence/csi-publications/csi-studies/studies/vol.-56-no.-2/pdfs/McMurdo-The%20Economics%20of%20Overthrow.pdf>

<sup>20</sup> Risen J., 2000. New York Times, Special Report: „The C.I.A In Iran“, Accessed on 4 April 2020. [https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/library/world/mideast/041600iran-cia-index.html?\\_r=1](https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/library/world/mideast/041600iran-cia-index.html?_r=1)



სახელწოდებით „PBSUCCESS“<sup>21</sup> გვატემალაში, რომელსაც კანონიერი პრეზიდენტის ხაკობო არბენზის გადაყენება და ოპერაციის ორგანიზატორი სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი მმართველის კარლოს კასტილიო არმასის სამხედრო რეჟიმის დამყარება მოჰყვა. ოპერაციის ხელმძღვანელი იყო პოლკოვნიკი ალბერტ რიჩარდ ჰანი, <sup>22</sup> რომლის ოპერატიული შტაბი „ლინკოლნი“ განთავსებული იყო ფლორიდის შტატში, მაიამიში.

1931-1944 წლებში გვატემალაში გენერალი ხორხე უბიკო ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების გამტარებელ პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა. მისი მხარდაჭერისთვის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო ჰექტრობით მიწები ამერიკული ხილის კომპანიისთვის (the American United Fruit Company (UFCO)).<sup>23</sup> ამასთან ერთად უბიკომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო შეიარაღებულ ძალებს საშუალება მისცა მათ ქვეყანაში განეთავსებინათ სამხედრო ბაზები. მისი გადაყენება 1944 წელს მასობრივი გამოსვლებისა და არეულობის შედეგად მოხდა. 1951 წელს ახალი არჩევნების შედეგების მიხედვით გვატემალის პრეზიდენტი ხაკობო არბენზი გახდა, რომელმაც აგრარული რეფორმის შედეგად 1952 წელს 600 ათასი ჰექტარი მიწა დაურიგა გლეხებს, რამაც გამოიწვია ამერიკული ხილის კომპანიის (UFCO) კონტროლიდან მიწების ნახევარზე მეტის დაკარგვა. აღნიშნული ქმედება ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესების საზიანოდ ჩაითვალა, რასაც მოჰყვა კიდევ ზემოაღნიშნული საიდუმლო ოპერაციის დაგეგმვა-განხორციელება.

**ეკონომიკური დაზვერვის ამოცანების შესასრულებლად ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ორგანიზებით განხორციელდა სადაზვერვო-აგენტურული შეღწევადობის უზრუნველსაყოფად ისეთი ქმედებები, როგორიცაა:**

- გვატემალას მთავრობის მოწინააღმდეგე პირებთან კონტაქტის დამყარება, მათ შორის კასტილიო არმასთან;
- შეიქმნა ანტისამთავრობო შეიარაღებული დანაყოფები და დაჯგუფებები, უზრუნველყოფილ იქნა მათი მხარდაჭერა როგორც ფინანსურად ისე შეიარაღებით;
- საიდუმლო ოპერაციის დროს, საომარი ქმედების პირობებში, ნაციონალური რადიოსადგურის მეშვეობით, გამოყენებულ იქნა დეზინფორმაციის მეთოდი;

წარმატებული ოპერაციის შემდეგ, თანამდებობიდან გადადგა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი დირექტორი უოლტერ სმიტი<sup>24</sup> და ამერიკული ხილის კომპანიის (The American United Fruit Company (UFCO)) დირექტორთა საბჭოს წევრი გახდა, რაც სადაზვერვო საქმიანობის უწყვეტობაზე უნდა მიანიშნებდეს.

**გვატემალაში განხორციელებული ფარული სადაზვერვო ოპერაციის შედეგად:**

- ამერიკულმა ხილის კომპანიამ (UFCO) გვატემალას მთავრობისგან დაიბრუნა წართმეული მიწები;

<sup>21</sup> The National Security Archive, George Washington university, Accessed on 4 April 2020. <https://nsarchive2.gwu.edu/NSAEBB/NSAEBB4/docs/doc01.pdf>

<sup>22</sup> Prados J., 2006. *Safe for Democracy: The Secret Wars of the CIA*, 97-123.

<sup>23</sup> Chullater N., CIA Historical Review Program, „The United States and Guatemala 1952-1954, Operation „PBSUCCESS“, Accessed on 4 April 2020. [https://www.cia.gov/library/readingroom/docs/DOC\\_0000134974.pdf](https://www.cia.gov/library/readingroom/docs/DOC_0000134974.pdf)

<sup>24</sup> კუხალაშვილი დ., 2010. *ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამერიკის შეერთებული შტატების სამსახურში*, თბილისი, 74-78.

- გაფორმდა ახალი ხელშეკრულება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გვატემალას მთავრობებს შორის ინვესტიციების განხორციელების შესახებ;
- გაუქმდა უცხოური კაპიტალიდან მიღებულ შემოსავალზე გადასახადის შესახებ კანონი, რითაც მთელ მოგებას მხოლოდ ამერიკული კომპანია იღებდა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ აღარ იხდიდა გადასახადს;

გასული საუკუნის 60-იან წლებში ეკონომიკური დაზვერვის ორგანიზების კუთხით საკუთარი ინტერესების დასაცავად და მსოფლიოში დომინანტური მდგომარეობის შესანარჩუნებლად სპეციალურ ფარულ ოპერაციებს საბჭოთა კავშირიც აქტიურად მიმართავდა. ამ კუთხით აღსანიშნავია სპეცოპერაცია კოდური სახელწოდებით „კედრ“-ი („KEDR“),<sup>25</sup> რომელიც 12 წელი მზადდებოდა და კანადასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის არსებულ ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნისა, გაზისა და ნავთობის მიღებზე დივერსიული აქტების, საბოტაჟის განხორციელებას ისახავდა მიზნად.

ოპერაციის აქტიური ფაზის დაწყებამდე საბჭოთა დაზვერვის მიერ მოწყვლადობის განსაზღვრის მიზნით ხდებოდა ობიექტების ფოტოგადაღება, იერიშის მისატანად მოხერხებული გზების, ტერაქტის შემდგომ გაქცევის მარშრუტის შესწავლა და სათანადო საიდუმლო რუკების შედგენა. ოპერაციის მიზანს დაზვერვას დაქვემდებარებულ ქვეყნებში შიშის, პანიკის და მისგან მომდინარე მძიმე შედეგების ინსპირირება წარმოადგენდა.

**ნაშრომში მოყვანილი ისტორიული ფაქტებისა და მაგალითების განხილვისა და გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ:**

- სახელმწიფოთა სპეცსამსახურების საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებას ეკონომიკური დაზვერვა წარმოადგენს;
- ეკონომიკური დივერსიების განხორციელებით სახელმწიფოები ცდილობენ დააზიანონ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ერთ-ერთი ძირითადი სეგმენტი - ეკონომიკური უსაფრთხოება;
- ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაზიანება აადვილებს მასზე გავლენის მოპოვებას (პოლიტიკურს, ეკონომიკურს) და ზრდის მის დამოკიდებულებას უცხო სახელმწიფოზე;
- ეკონომიკური დაზვერვისა და კონტრდაზვერვის განხორციელების მნიშვნელოვან პირობას დროულობით და სრულყოფილებით გამორჩეული ინფორმაციულ მხარდაჭერა, ინფორმაციული ანალიზი და წარმატებულ რეალიზაცია წარმოადგენს;
- ეკონომიკური დაზვერვის მიზნები და ამოცანები განისაზღვრება სახელმწიფოს პილიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, გეოსტრატეგიული და სხვა უამრავი ფაქტორით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესები;
- ეკონომიკური დაზვერვის განსახორციელებლად მოწყვლად სფეროებს სოფლის მეურნეობის, ფინანსურ-ეკონომიკური, საბაჟო და სახელმწიფოსათვის სხვა მნიშვნელოვანი სექტორები წარმოადგენს;

<sup>25</sup> Andrew C., 1999. *The Sword and The Shield, The Mitrokhin Archive And The Secret History of KGB*, 363-364.

- ეკონომიკურ დაზვერვას გააჩნია თავსებადობა სამხედრო, სტრატეგიულ და პოლიტიკურ დაზვერვასთან, რომელთა საერთო ინტერესს ობიექტი ქვეყნის რესურსები წარმოადგენს;
- ეკონომიკური დაზვერვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე საკუთარი სახელმწიფოს კომპანიების (შესაბამისად პროდუქციის) წარმატებით შეღწევა-დამკვიდრება წარმოადგენს, შესაბამისად ამ ფარგლებში კომბინირებულად შესაძლებელია კორპორაციული შპიონაჟის განხორციელება, რაც ე.წ ეკონომიკური ექსპანსიის განხორციელების ერთ-ერთი ხერხია;
- ეკონომიკური დაზვერვის განსახორციელებლად სახელმწიფოები კერძო კომპანიებში დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ყოფილი თანამშრომლების განთავსებას, საკუთარი სახელმწიფოს სასარგებლო სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის გაგრძელების უზრუნველსაყოფად ახორციელებენ;
- ეკონომიკური დაზვერვის მიმართულებით დროულობით, სრულყოფილებით და სანდოობით გამორჩეული ინფორმაციის მოპოვება სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებიდან ოპერატიულ-აგენტურული ქსელების ორგანიზებით ხორციელდება.
- ეკონომიკური დაზვერვის ინფორმაციის მოპოვების მნიშვნელოვან ობიექტებად სახელმწიფო და კერძო სექტორში მომუშავე ან დათხოვნილი პირები გვევლინებიან, ე.ი. ისინი სადაზვერვო აგენტურული შეღწევადობის ობიექტებს წარმოადგენენ;
- ეკონომიკური დაზვერვისა და კორპორაციული შპიონაჟის პირობებში შესაბამისი ღონისძიების დაგეგმვა-გატარება მოიცავს შემდეგ საფეხურებს: ინფორმაციის მოპოვება, შეფასება, ანალიზი, რეალიზაცია, რომლის დროსაც მართვა და კოორდინაცია უწყვეტ პროცესად მიმდინარეობს;
- მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური მოვლენების შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფისა და სასურველი საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისათვის ეკონომიკური დაზვერვის ფარგლებში გამოყენებადია კერძო სექტორი, რომლის ნიშანსაც ამავე სექტორის სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლებით კომპლექტაცია წარმოადგენს;
- ეკონომიკური დაზვერვის განხორციელების მნიშვნელოვან ხერხებს ტერორიზმის ისეთი სახეობის გამოყენება წარმოადგენს, როგორცაა: კიბერტერორიზმი, აგროტერორიზმი, რომელთა განხორციელება შესაძლებელია, როგორც სამოქალაქო ისე სამხედრო (ან კომბინირებულად ორივე ერთად) სექტორის დასაზიანებლად. ეკონომიკური დაზვერვის მნიშვნელოვანი მიზანი ობიექტ სახელმწიფოში დამთრგუნველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაა, რაც ქმნის სადაზვერვო შეღწევადობისათვის ხელსაყრელ პირობებს;
- კორპორაციული (კერძო კომპანიებს შორის) შპიონაჟის გამოყენება შესაძლებელია სადაზვერვო საქმიანობასთან კომბინირებულად.

ბიბლიოგრაფია

1. კუხალაშვილი დ., 2010. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამერიკის შეერთებული შტატების სამსახურში, თბილისი, 74-78.
2. კუხალაშვილი დ., გურული-კუხალაშვილი მ., ბრეგაძე თ., 2014. ტერორიზმის როლი სასურსათო და ტურიზმის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, თბილისი, 35-46.
3. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2016-31.12.2016, 8, წვდომის თარიღი: 4 აპრილი 2020. <https://sbg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/angarishi2016.pdf>
4. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2017-31.12.2017, 9, წვდომის თარიღი: 4 აპრილი 2020. <https://sbg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/angarihi%202017.pdf>
5. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2018-31.12.2018, 14-15, წვდომის თარიღი: 4 აპრილი 2020. <https://sbg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202018.pdf>
6. Andrew C., 1999. *The Sword and The Shield, The Mitrokhin Archive And The Secret History of KGB*, 363-364.
7. About Strategic Forecasting Inc, Accessed on 7 April 2020. <https://www.stratfor.com/about>
8. BBC News, 2015. „Iranian hackers 'targeted' New York dam”, Accessed on 4 April 2020. <http://www.bbc.com/news/technology-35151492>
9. Chullater N., CIA Historical Review Program, „The United States and Guatemala 1952-1954, Operation „PBSUCCESS“, Accessed on 4 April 2020. [https://www.cia.gov/library/readingroom/docs/DOC\\_0000134974.pdf](https://www.cia.gov/library/readingroom/docs/DOC_0000134974.pdf)
10. Campaigning to Install Pro-western Government in Iran, CIA Archive Documents, Accessed on 4 April 2020. <https://nsarchive2.gwu.edu/NSAEBB/NSAEBB435/docs/Doc%202%20-%201954-00-00%20Summary%20of%20Wilber%20history.pdf>
11. Department of Justice Office of Public Affairs, 2015. „Chinese Professors Among Six Defendants Charged with Economic Espionage and Theft of Trade Secrets for Benefit of People’s Republic of China”, Accessed on 4 April 2020. <https://www.justice.gov/opa/pr/chinese-professors-among-six-defendants-charged-economic-espionage-and-theft-trade-secrets>
12. Federal Bureau of Investigation, “George John Dasch and the Nazi Saboteurs”, Accessed on 4 April 2020. <https://www.fbi.gov/history/famous-cases/nazi-saboteurs-and-george-dasch>
13. Monke J., 2007. “Agroterrorism: Threats and Preparedness”, CRS Report for Congress, Accessed on 11 April 2020. <https://www.fas.org/sgp/crs/terror/RL32521.pdf>
14. Office of The National Counterintelligence Executive, 2009-2011. „Foreign Spies Stealing US Economic Secrets in Cyberspace”, Report to Congress on Foreign Economic Collection and Industrial Espionage, Accessed on 10 April 2020. [https://www.ncsc.gov/publications/reports/fecie\\_all/Foreign\\_Economic\\_Collection\\_2011.pdf](https://www.ncsc.gov/publications/reports/fecie_all/Foreign_Economic_Collection_2011.pdf)
15. Pate J., and Cameron G., 2002. *Covert Biological Weapons Attacks against Agricultural Targets: Assessing the Impact against U.S. Agriculture*, 7-9.
16. Prados J., 2006. *Safe for Democracy: The Secret Wars of the CIA*, 97-123.
17. Risen J., 2000. New York Times, Special Report: „The C.I.A In Iran“, Accessed on 4 April 2020.

18. Saeed K. Dehghan and Richard N. Taylor, The Gurdian, 2013. "CIA admits role in 1953 Iranian coup", Accessed on 8 April 2020. <http://www.theguardian.com/world/2013/aug/19/cia-admits-role-1953-iranian-coup>
19. Strategic Dossier 162 B Economic intelligence in a global world, 2014. Spanish Institute for Strategic Studies, Ministry Of Defence, official web, 22, Accessed on 4 April 2020. [https://publicaciones.defensa.gob.es/media/downloadable/files/links/c/e/ce\\_162\\_b.pdf](https://publicaciones.defensa.gob.es/media/downloadable/files/links/c/e/ce_162_b.pdf)
20. Torey L. McMurdo, 2012. „The Economics of Overthrow, The United States, Britain, and the Hidden Justification of Operation TPAJAX“, 15-16, Accessed on 4 April 2020. <https://www.cia.gov/library/center-for-the-study-ofintelligence/csi-publications/csi-studies/studies/vol.-56-no.-2/pdfs/McMurdo-The%20Economics%20of%20Overthrow.pdf>
21. [https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/library/world/mideast/041600iran-cia-index.html?\\_r=1](https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/library/world/mideast/041600iran-cia-index.html?_r=1)
22. The Central Intelligence Agency, 2001. Nazi War Crimes Disclosure Act, Accessed on 4 April 2020. [https://www.cia.gov/library/readingroom/docs/GERMAN%20INTELLIGENCE%20SERVICE%20%28WWII%29%2C%20%20VOL.%201\\_0003.pdf](https://www.cia.gov/library/readingroom/docs/GERMAN%20INTELLIGENCE%20SERVICE%20%28WWII%29%2C%20%20VOL.%201_0003.pdf)
23. The National Security Archive, George Washington university, Accessed on 4 April 2020. <https://nsarchive2.gwu.edu/NSAEBB/NSAEBB4/docs/doc01.pdf>